საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

I კვარტალი, 2022 წელი

14.06.2022
www.geostat.ge

14.06.2022

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

(I კვარტალი, 2022 წელი)

2022 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 239.6 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 380.1 ათასი ერთეული შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 13.3%-ით მეტია 2021 წლის პირველი კვარტალის შესაბამის მონაცემზე.

დიაგრამა 1 ასახავს 2021-2022 წლების პირველ კვარტალებში ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს.

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



2022 წლის პირველ კვარტალში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 626.7 ათასით განისაზღვრა, რაც 13.1 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. დიაგრამა 2 ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



2022 წლის პირველ კვარტალში ვიზიტორების 38.0 პროცენტი მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ამასთან, ქალების რაოდენობა ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 53.4 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2022 წლის I კვარტალში



14.06.2022

დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით 2022 წლის I კვარტალში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 45.6 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 11.0 პროცენტი მოდის ქვემო ქართლის რეგიონზე, 10.6 პროცენტი - იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი.

დიაგრამა 5 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.

14.06.2022

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით 2022 წლის I კვარტალში, %



2022 წლის პირველ კვარტალში ვიზიტების უმრავლესობა (51.9 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით.

ცხრილი №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით 2022 წლის I კვარტალში, ათასი

ვიზიტის მიზანი	რაოდენობა	წილი, %
მეგობრების/ნათესავების მონახულება	716.3	51.9
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	182.3	13.2
შოპინგი	178.3	12.9
მკურნალობა, გაჯანსაღება	128.8	9.3
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	80.6	5.8
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	48.0	3.5
სხვა	46.0	3.3
სულ	**1 380.1**	**100.0**

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 331.9 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (საშუალოდ 211.7 ათასი ვიზიტი თვეში). დიაგრამა 6 ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2022 წლის I კვარტალში



დიაგრამა 7 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

14.06.2022

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით 2022 წლის I კვარტალში



2022 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 210.0 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 14.0 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი გაზრდილია 2.0 პროცენტით და 152.2 ლარს უტოლდება.

14.06.2022

ცხრილი №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით 2022 წლის I კვარტალში

ხარჯის ტიპი	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საყიდლები	71.5	34.0	51.8
ტრანსპორტი	48.0	22.9	34.8
საკვები და სასმელი	43.9	20.9	31.8
განთავსება	10.3	4.9	7.5
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	1.4	0.7	1.0
სხვა	34.9	16.6	25.3
სულ ხარჯი	**210.0**	**100.0**	**152.2**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (200), ელ. ფოსტა: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), ელ. ფოსტა: mkavelashvili@geostat.ge